# მოხსენებითი ბარათი
# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ანგარიშის შესახებ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით განისაზღვრა **60 137,637** ლარით, ანუ დამტკიცებულ **19 853,700** ლართან შედარებით **40 283,937** ლარით (203 %) გაიზარდა.

ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაემატა **11 708,938** ლარი, მ.შ.: 1) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის მიერ 17 იანვრის N75 განკარგულებით 5 448,699 ლარი; 2) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 15 თებერვლის №277 განკარგულებით 668,000 ლარი; 3) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 14 იანვრის №51 განკარგულებით მიზნობრივი ტრანსფერი 315,661 ლარი; 4) 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 განკარგულები შევიდა ცვლილება და დაფინანსდა პროექტები: „მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ხელმისაწვდომობის გაზრდა მისასვლელი გზის რეაბილიტაციისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით“ 1 563,906 ლარით, „კოდას საკურორტო ზონის განვითარების ხელშეწყობა ტურისტული და ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობით“ 895,948 ლარით; 5) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 5 აპრილის №604 და 19 აპრილის №718 განკარგულებებით 2 297,000 ლარი; 6) მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 25 მაისის №926 განკარგულებით 519,724 ლარი; საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გაიზარდა **10 735,300** ლარით, მათ შორის: 1) საკასო შემოსავლების მიხედვით არაფინანსური აქტივების კლების მუხლი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან შემოსული 8 000,000 ლარით, 2) საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე 2021 წლის 27 დეკემბრის №2374 განკარგულებით,

კაპიტალური გრანტი 400,000 ლარით; 3) მუნიციპალიტეტისთვის 2022 წელს მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დამატებული ღირებულების გადასახადიდან 1140,300 ლარით, ქონების გადასახადიდან 1 195,000 ლარით, წინა წლის ნაშთიდან განაწილდა სულ **17 839,699** ლარი, მ.შ. სახელმწიფო ფონდებიდან 2 486,104 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 15 353,595 ლარი. ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 17 843,320 ლარს, მ.წ. 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 24 331,759 ლარი.

2022 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 103 %–ით (გეგმა 33 169,603 ლარი, ფაქტი 34 114,139 ლარი).

ბიუჯეტის **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით შემოსულია 25 223,888 ლარი გეგმის 27 050,838 ლარის 93 %.

**გადასახდების** სახით შემოსულია 14 252,864 ლარი გეგმის 13 452,900 ლარის 106 %, აქედან ქონების გადასახადი შეადგენს 2 664,187 ლარს გეგმის 2 323,200 ლარის 115 %-ს; მათ შორის: ფიზიკურ პირთა ქონების 1,026 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 213,192 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 65,200 ლარი, საწარმოთა ქონების(გარდა მიწისა) 2 384,770 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე ანუ დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოვიდა 11 588,677 ლარი გეგმის 11 129,700 ლარის 104 %;

**გრანტების** სახით მიღებულია 7 533,923 ლარი გეგმის 12 292,938 ლარის 61 % მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 422,808 ლარი, აქედან 239,208 ლარი მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯია; რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია 6 711,115 ლარი;

**სხვა შემოსავლების** სახით შემოსულია 3 437,101 ლარი, რაც გეგმის 1 305,000 ლარის 263 %-ია, მათ შორის: 1) შემოსავალი პროცენტებიდან 1 228,279 ლარი გეგმის 400,000 ლარის 307 %; 2) რენტა 532,104 ლარი გეგმის 435,000 ლარის 122 %, აქედან: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 454,548 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გაცემიდან 77,557 ლარი; 3) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 99,628 ლარი გეგმის 70,000 ლარის 142 %, აქედან: ა)ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები 93,949 ლარი გეგმის 61,000 ლარის 154 %, მ.შ.: დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის 41,646 ლარი, მშენებლობის ნებართვაზე 50,903 ლარი, სამხედრო სავალდებულო გადავადების 1,400 ლარი; ბ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება(შემოსავალი შენობების და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან) 5,679 ლარი გეგმის 9,000 ლარის 63 %; 4) ჯარიმები, სანქციები და საურავები 569,998 ლარი გეგმის 400,000 ლარის 142 %; 5) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 1 007,091 ლარი;

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** შემოსულია 8 890,251 ლარი, რაც გეგმის 6 118,765 ლარის 145 %-ია, ეს არის შემოსავალი გაყიდვებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების 79,422 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) 8 810,829 ლარი.

**საგასავლო** ნაწილი შესრულდა 69 %–ით (გეგმა 40 151,530 ლარი, ფაქტი 27 625,700 ლარი); მათ შორის, დაფინანსების მიხედვით: საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 73 %-ით (გეგმა 26 910,454 ლარი, ფაქტი 19 601,018 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 88 %-ით (გეგმა 239,000 ლარი, ფაქტი 210,786 ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 60 %-ით (გეგმა 13 002,076 ლარი, ფაქტი 7 813,896 ლარი);

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით: შრომის ანაზღაურება 2 604,155 ლარი გეგმის 2 697,130 ლარის 97 %; საქონელი და მომსახურება 3 192,914 ლარი გეგმის 3 425,715 ლარის 93 %; პროცენტი 13,937 ლარი გეგმის 17,000 ლარის 82 %; სუბსიდიები 5 348,498 ლარი გეგმის 5 849,086 ლარის 91 %; გრანტები 204,061 ლარი გეგმის 100 %; სოციალური უზრუნველყოფა 788,760 ლარი გეგმის 854,393 ლარის 92 %; სხვა ხარჯები 3 018,391 ლარი გეგმის 3 778,174 ლარის 80 %; არაფინანსური აქტივების ზრდა 12 428,349 ლარი გეგმის 23 298,970 ლარის 53 %; ვალდებულებების კლება 26,635 ლარი გეგმის 27,000 ლარის 99 %.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება ასეთია: **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა შეადგინა სულ** 4 147,275 ლარი გეგმის 4 701,058 ლარის 88 %; მ.შ. საკრებულოს 924,797 ლარი გეგმის 955,830 ლარის 97 %; მერიის 3 048,070 ლარი გეგმის 3 497,305 ლარის 87 %; სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის 133,836 ლარი გეგმის 160,000 ლარის 84 %; მგფ-ს სა სხვა დავალიანებების დაფარვა 40,572 ლარი გეგმის 44,000 ლარის 92 %;

**ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯებმა შეადგინა სულ** 14 480,814 ლარი გეგმის 23 367,315 ლარის 62 %, მათ შორის:

1) **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** 7 647,122 ლარი გეგმის 12 911,413 ლარის 59 %, აქედან გზების მიმდინარე შეკეთება 692,278 ლარი გეგმის 843,890 ლარის 82 %; შ.პ.ს. „საგარეჯო“ 296,705 ლარი გეგმის 336,600 ლარის 88 %; ახალი გზების მშენებლობა 6 654,119 ლარი გეგმის 11 710,966 ლარის 57 %; საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება 4,020 ლარი გეგმის 19,957 ლარის 20 %;

2) **წყლის სისტემების განვითარება** 2 587,193 ლარი გეგმის 3 785,455 ლარის 68 %; აქედან სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2 209,297 ლარი გეგმის 3 367,255 ლარის 66 %; სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია (ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“) 377,896 ლარი გეგმის 418,200 ლარის 90 %;

3) **გარე განათება** 1 503,046 ლარი გეგმის 1 980,901 ლარის 76 %, მათ შორის: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია 938,471 ლარი გეგმის 952,000 ლარის 99 %, გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა 564,575 ლარი გეგმის 1 028,901 ლარის 55 %;

4)**ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია** 2 360,144 ლარი გეგმის 3 013,161 ლარის 78 %;

5)**კეთილმოწყობა** 213,431 ლარი გეგმის 468,925 ლარის 46 %, მ.შ.: საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯი 98,842 ლარი გეგმის 353,976 ლარის 28 %; შენობების ფასადების რეაბილიტაცია 114,589 ლარი გეგმის 100 %;

6) **სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** 54,444 ლარი გეგმის 77,102 ლარის 71 %;

7) **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** 115,434ლარი გეგმის 1130,358 ლარის 10 %.

**დასუფთავება და გარემოს დაცვის** ხარჯებმა შეადგინა სულ 1 553,856 ლარი გეგმის 2 053,655 ლარის 76 %, მათ შორის:

1)დასუფთავება და ნარჩენების გატანა 621,134 ლარი გეგმის 702,445 ლარის 88 %;

2) შ.პ.ს. ”სუფთა მუნიციპალიტეტი 2018” 896,717 ლარი გეგმის 908,473 ლარის 99 %;

3) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება 36,005 ლარი გეგმის 442,737 ლარის 8% ;

**განათლების ხარჯები** დაფინანსებულია 3 956,161 ლარით გეგმის 5 188,003 ლარის 76 %–ით; მათ შორის: 1) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“) 1 967,590 ლარით გეგმის 2 262,600 ლარის 87 %;

2) სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 1 466,985 ლარით გეგმის 2 294,590 ლარის 64 %;

3) ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ ხარჯებმა შეადგინა 103,654 ლარი გეგმის 112,150 ლარის 92 %;

4) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 35,897 ლარი გეგმის 43,300 ლარის 83 %;

5) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა 382,035 ლარი გეგმის 475,363 ლარის 80 %;

**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** დაფინასებულია 2 331,625 ლარით გეგმის 3 157,749 ლარის 74 %, აქედან,

1) **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** დაფინანსდა 1 367,979 ლარით გეგმის 1 944,775 ლარის 70 %, მათ შორის: ა(ა)იპ ”საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლა“ 49,961

ლარით გეგმის 53,800 ლარის 93 %; ა(ა)იპ ’საგარეჯოს სპორტული გაერთიანება“ 393,425 ლარით გეგმის 411,895 ლარის 96 %; ა(ა)იპ რაგბის კლუბი“ვეფხვები“ 255,570 ლარით გეგმის 262,800 ლარის 97 %; შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი“ 63,274 ლარით გეგმის 90,500 ლარის 70 %; სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა 54,759 ლარი გეგმის 65,740 ლარის 83 %; სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 550,990 ლარი გეგმის 1 060,040 ლარის 52 %;

2)**კულტურის სფეროს განვითარება** დაფინანსდა 876,118 ლარით გეგმის 1105,554 ლარის 79 %-ით, მათ შორის: ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“ 142,410 ლარით გეგმის 146,700 ლარის 97 %; ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება 464,765 ლარით გეგმის 492,100 ლარის 94 %; კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 127,829 ლარით გეგმის 294,898 ლარის 43 %; კულტურული ღონისძიებები 141,114 ლარით გეგმის 171,856 ლარის 82 %;

3)**ახალგაზრდობის მხარდაჭერა** 58,802 ლარით გეგმის 74,420 ლარის 79 %;
4) **საგამომცემლო საქმიანობა** 28,726 ლარით გეგმის 33,000 ლარის 87 %.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** დაფინანსდა 1 155,969 ლარი გეგმის 1 683,750 ლარის 69 %, აქედან, **ჯანმრთელობის დაცვა** დაფინანსდა 89,920 ლარით გეგმის 517,101 ლარის 17 %, მათ შორის:

1) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა დაფინანსდა 84,920 ლარით გეგმის 102,000 ლარის 83 %;
2) სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია დაფინანსდა 5,000 ლარით გეგმის 415,101 ლარის 1 %;

**სოციალური დაცვა** დაფინანსდა 1 066,049 ლარით გეგმის 1 166,649 ლარის 91 %, მათ შორის:
1)პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა 4,200 ლარით გეგმის 7,200 ლარის 58%, დახმარება გაეწია 13 ოჯახს;

2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 46,300 ლარით გეგმის 46,600 ლარის 99 %, დახმარება გაეწია 117 ოჯახს;

3) ბავშვთა კვების პროგრამა 4,967 ლარით გეგმის 5,000 ლარის 99 %, კვება დაუფინანსდათ ერთ წლამდე ასაკის 40 ბავშვს;

4) უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა 5,100 ლარით გეგმის 9,900 ლარის 52 % , დახმარება გაეწია 15 ბავშვს;

5) შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა 32,550 ლარით გეგმის 33,000 ლარის 99 %, დახმარება გაეწია 82 ბავშვს;

6) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 23,836 ლარით გეგმის 42,000 ლარის 57 %, დაფინანსდა 12 ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსი, შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციართათვის განხორციელდა ტელევიზორის შესყიდვა და გადაცემა, აგრეთვე დაფინანსდა ცენტრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის და ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები;

7) მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა 3,200 ლარი გეგმის 4,000 ლარის 80 %, დახმარება გაეწია 16 ბენეფიციარს;

8) სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა გეგმა 5,500 ლარი;

9) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 230,929 ლარი გეგმის 236,088 ლარის 98 %( 398 ბენეფიციარი);

10) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა 143,611 ლარი გეგმის 151,127 ლარის 95 % (412 ბენეფიციარი);

11) ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა 150,539 ლარი გეგმის 167,111 ლარის 90 % (257 ბენეფიციარი);

12) ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა 34,920 ლარი გეგმის 100 %( 39 ბენეფიაციარი);

13) ელექტრო ენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა 37,320 ლარი გეგმის 38,125 ლარის 98 %( 446 ბენეფიაციარი);

14) მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა 6,100 ლარი გეგმის 6,500 ლარის 94 % (122 ბენეფიციარი);

15) სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე 71,709 ლარი გეგმის 100 %, ეს არის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შეძენის ხარჯი, გადაეცათ შობის და აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 1000 ბენეფიციარს, ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის სოციალურად დაუცველ 200 ბენეფიციარს;

16) მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა 11,465 ლარი გეგმის 16,125 ლარის 71 %;

17) ხანდაზმულ (95 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 1,800 ლარი გეგმის 3,000 ლარის 60 % (9 ბენეფიციარი);

18) უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა 8,100 ლარი გეგმის 12,000 ლარის 68 % (27 ბენეფიციარი);

19) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის  დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის პროგრამა 750 ლარი  გეგმის 3,250 ლარის 23 %, გაიწმინდა ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი №19-ზე მდებარე საერთო საცხოვრებელი კორპუსის ეზოში არსებული სამი საკანალიზაციო ჭა;

20) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 18,317 ლარი გეგმის 26,474 ლარის 69 % (24 ოჯახი);

21) უმწეოთათვის  უფასო სასადილოს დაფინანსება 202,990 ლარი გეგმის 215,800 ლარის 94 % (220 ბენეფიციარი);

22) ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 2,800 ლარი გეგმის 6,200 ლარის 45 %, ფულადი დახმარება გაეწია დიდი სამამულო ომის მონაწილე 1 ვეტერანს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა 5  ოჯახს და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა 2 ოჯახს;

23) წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა 11,446 ლარი გეგმის 100 %;

24) სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსება 11,750 ლარი გეგმის 12,000 ლარის 98 % (12 ბენეფიციარი);

25) მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა 1,350 ლარი გეგმის 1,400 ლარის 96 %.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის სამი კვარტლის ბიუჯეტით **სარეზერვო ფონდიდან** გამოიყო 289,077, მ.შ. ლარი სტიქიის (2022 წლის 14-15 იანვრის ძლიერი ქარი) შედეგად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების სტიქიის მიერ დაზიანებული სახურავების მოწყობის სამუშაოებისთვის 48,091 ლარი; 2022 წლის 05 თბერვლის სტიქიის შედეგად (ძლიერი ქარი) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის მიზნით  70,000 ლარი, დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად საჭირო სამშენებლო მასალების შესასყიდად და მოსახლეობისთვის გადასაცემად 119,757 ლარი; უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად საკვები პროდუქტების შესყიდვა 10,000 ლარი; შენობის სახურავის მოწყობის სამუშაოების პროცესში მოსული ძლიერი წვიმების შედეგად დაზიანებული, ქ. საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილი N7-ის კორპუსში მდებარე ბინების შეკეთება 36,752 ლარი, მოქალაქეების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების 2021 წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების მოწყობის სამუშაოებისთვის მომწოდებლებლის მიერ 2022 წელს

წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოებზე ასანაზღაურებელი თანხის გადახდის მიზნით 4,477 ლარი.

**ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 403,871 ლარი, შესრულდა 86 %-ით ანუ 1 211,682 ლარით, მ: შ:**

| დასახელება | საკუთარი სახსრების III კვარტლის გეგმა ნაშთის ჩათვლით | საკუთარი სახსრების III კვარტლის შესრულება | შესრულებ ის % |
|---|---|---|---|
| ა.ი.პ. საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლა | 23,037 | 9,166 | 40 |
| ა.ი.პ. საგრეჯოს სპორტული გაერთიანება | 0,899 | 0,001 | 0 |
| ა.ი.პ საგარეჯოს ჯ.ბურჯანაძის სახ.სამუსიკო სკოლა | 12,031 | 11,226 | 93 |
| ა.ი.პ კულტურის ობიექტების გაერთიანება | 27,027 | 18,723 | 69 |
| ა.ი.პ.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | 51,231 | 43,084 | 84 |
| ა.ი.პ. რაგბის კლუბი ვეფხვები | 185,542 | 169,549 | 91 |
| შ.პ.ს.საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი | 1099,954 | 956,032 | 87 |
| შ.პ.ს.საგარეჯო | 2,485 | 2,290 | 92 |
| შ.პ.ს.საინფორმაციო გაზეთი გარეჯის მაცნე | 1,665 | 1,609 | 97 |
| სულ | 1 403,871 | 1 211,682 | 86 |

**პროექტის ავტორი**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ გულიკაშვილი

**პროექტის წარმდგენი**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი მარინე თედიაშვილი